შეხვედრის აღწერა: კითხვა-პასუხის სესია

თარიღი/დრო: 20.04.2021

მონაწილეები: GCSD – გოგიტა ღვედაშვილი, ქეთევან იმერლიშვილი, ნიკოლოზ ჩეჩელაშვილი.

საგრანტო კონკურსით დაინტერესებული პირები

1. **განხილული საკითხები: საგრანტო კონკურსთან დაკავშირებული კითხვები**
2. **კითხვა (Q) - პასუხი (A):**

Q: როგორ ორგანიზაციებს ენიჭებათ პრიორიტეტი?

A: პრიორიტეტი ენიჭებათ რეგიონებში დარეგისტრირებულ ორგანიზაციებს, რომლებიც მინიმუმ ერთი წელი მუშაობენ.

Q: თუ არის შესაძლებელი კოალიციური პროექტების შემოტანა?

A: დიახ, კოალიციური პროექტების შემოტანა შესაძლებელია და წახალისებულიც.

Q: არის თუ არა პრიორიტეტული რეგიონი, რომელიც ამ გრანტმა უნდა დაფაროს?

A: გრანტის ფარგლებში არ არის დაწესებული შეზღუდვა რეგიონებზე, პროექტი შეიძლება განხორციელდეს საქართველოს ყველა რეგიონში, გარდა ოკუპირებული ტერიტორიებისა.

Q: ექცევა თუ არა ყურადღება ორგანიზაციის წინა გამოცდილებას?

A: როგორც შეფასების კრიტერიუმებშია აღნიშნული, ორგანიზაციის გამოცდილებას ყურადღება მიექცევა. თუმცა, ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანი იქნება, რომ შემოთავაზებული პროექტი არ სცდებოდეს ორგანიზაციის სამუშაო სფეროს და ამავდროულად შეესაბამებოდეს პროექტის მიზნებსა და ამოცანებს.

Q: თუ შეიძლება სხვა ქვეყნიდან სპეციალისტების/ლექტორების პროეტში ჩართვა?

A: პროექტში უცხო ქვეყნიდან მოწვეული ექსპერტების/ლექტორების ჩართვა შესაძლებელია

Q: COVID-19 ვირუსით გამოწვეული გარემოებები უნდა იყოს თუ არა ასახული პროექტის რისკებში?

A: ჩვენი რეკომენდაციაა, რომ რისკების შეფასების დროს, აღნიშნული საკითხი იყოს მაქსიმალურად გათვალისწინებული.

Q: რა სახით უნდა იყოს წარდგენილი პარტნიორობის დადასტურება? (მემორანდუმი, თანხმობის წერილი, სხვა)

A: ამ შემთხვევაში, თანხმობის წერილი და პარტნიორობის შესახებ წერილი დამაკმაყოფილებელია.

Q: შეუძლია თუ არა თბილისში რეგისტრირებულ ორგანიზაციას რეგიონში განახორციელოს პროექტი?

A: თბილისში რეგისტრირებულ ორგანიზაციას შეუძლია განახორციელოს პროექტი რეგიონში, თუმცა აუცილებელი პირობაა მას ჰყავდეს რეგიონული პარტნიორი, რომელთან ერთადაც იმუშავებს პროექტზე.

Q: ბიუჯეტთან დაკავშირებით რა კონკრეტული შეზღუდვები არსებობს?

A: ბიუჯეტის ნაწილში არსებობს არაპირდაპირი ხარჯების (5%) კომპონენტი. აღნიშნული 5% შესაძლებელია გამოყენებული იქნას ისეთ ხარჯებზე როგორებიცაა, სწავლების, ორგანიზაციის თანამშრომლების განვითრების ხარჯები და სხვა. იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტი გაითვალისწინებს მსგავს ხარჯს, აუცილებლად უნდა მოხდეს მისი მიზნობრიობის დასაბუთება.

Q: შეუძლია თუ არა უნივერსიტეტის მიერ დაფუძნებულ ა(ა)იპ-ს კონკურსში მონაწილეობის მიღება?

A: უნივერსიტეტის მიერ დაფუძნებულ ა(ა)იპ-ს კონკურსში მონაწილეობა შეუძლია იმ შემთხვევაში, თუ ის წარმოადგენს არასამეწარმეო არაკომერციულ პირს.

Q: რა არის პროექტის განხორციელების რეკომენდირებული ვადა?

A: პროექტის ხანგრძლივობა შეიძლება იყოს 6-დან 12 თვემდე.

Q: გრანტის ფარგლებში თუ არის შესაძლებელი სოციალური სერვისების მიწოდება?

A: სოციალური სერვისების მიწოდება არ წარმოადგენს გრანტის მიზანსა და პრიორიტეტს, თუმცა შესაძლებელია პროექტში გათვალისწინებული იყოს ამ სერვისების მიწოდების მხარდაჭერის გაუმჯობესება, საჯარო სექტორთან მუშაობა და ადვოკატირება.

Q: ხელფასებზე ბიუჯეტის პროცენტული რაოდენობა არის განსაზღვრული?

A: სახელფასო ფონდი ბიუჯეტიდან გამომდინარე უნდა იყოს რელევანტური, დაახლ. 30%-35%, რაც მეტწილად დამოკიდებელია აქტივობების რაოდენობაზე. ასევე გასათვალისწინებელია, რომ თუ პროექტის ფარგლებში მოწვეულია „გარე“ წევრი (ექსპერტი ან მკვლევარი), ეს შეიძლება ჩაითვალოს როგორც აქტივობის ხარჯი.

Q: გვსურს პროექტის განხორციელება საქართველოს ოთხ რეგიონში, ასეთ შემთხვევაში საჭიროა თუ არა ამ რეგიონებიდან პარტნიორი ორგანიზაციების აყვანა?

A: თუ პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაცია თავად რეგისტრირებულია რეგიონში, პარტნიორის აყვანა არ არის სავალდებულო.

Q: მედია პროდუქტების, ვებ-პორტალის შექმნა საგრანტო კონკურსით გათვალისწინებულ საკითხებზე რამდენად მისაღებია?

A: მისაღები და რელევანტურია.

Q: ჩვენ ვართ რეგიონული ორგანიზაცია, თუმცა აღნიშნული მიმართულებით მუშაობის გამოცდილება არ გვაქვს, ძირითადად ვმუშაობთ სოფლის მეურნეობისა და ტურიზმის მიმართულებით. თუ გვაქვს მონაწილეობის საშუალება?

A: რასაკვირველია, მონაწილეობის მიღება შესაძლებელია, თუმცა მნიშვნელოვანია განაცხადი კარგად დასაბუთებული და არგუმენტირებული იყოს.

Q: როგორ ფასდება საგრანტო კონკურსში წარმოდგენილი პროექტები?

A: პროექტს ჰყავს მმართველი საბჭო, რომელიც სხვადასხვა მოწვეული ექსპერტისგან შედგება. შეფასების კომისიაში წარმოდგენილნი არიან ნორვეგიის საელჩოს წარმომადგენლები (პროექტი ხორციელდება ნორვეგიის საელჩოს დაფინანსებით), ჩვენი გუნდის წარმომადგენლები და დამოუკიდებელი ექსპერტები. პროექტი ფასდება კონფიდენციალურად სხვადასხვა მხარის მიერ, შემდგომ შედეგები ჯამდება და გამოდის საშუალო შეფასებული ქულა, რომლის მიხედვითაც იქმნება პროექტის რეიტინგი. შესაძლებელია, ჩვენ გვქონდეს დამატებითი კითხვები და დაგვჭირდეს დამატებითი კონსულტაციები საპროექტო განაცხადთან დაკავშირებით, ამიტომ მუდმივად ხდება უკუკავშირი, გამარჯვებული პროექტის გამოვლენამდე.

Q: დღგ თუ არის გასათვალისწინებელი ბიუჯეტის გაწერისას?

A: დიახ, დღგ უნდა იყოს გათვალისწინებული, ვინაიდან გრანტი არ არის გათავისუფლებული დღგ-სგან.